| სალონო და ნაშთი ბანკებში | სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი | ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითად თანხისა და პროცენტის გადახდებს | ამორტიზირებული ღირებულება |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი | ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითად თანხისა და პროცენტის გადახდებს | ამორტიზირებული ღირებულება |
| სხვა დებიტორული დავალიანება | სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი | ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითად თანხისა და პროცენტის გადახდებს | ამორტიზირებული ღირებულება |

ბიზნეს-მოდელის შეფასება

კომპანია ახდენს ბიზნეს-მოდელის მიზნის შეფასებას, რომლის მიხედვითაც ფლობს ფინანსურ აქტივებს, ცალკეული პორტფელის დონეზე, ვინაიდან, ამ სახით საუკეთესოდ აისახება კომპანიაში დანერგილი ბიზნესის მართვისა და ინფორმაციის მენეჯმენტისთვის წარდგენის მეთოდები. ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დადგენილ პოლიტიკებსა და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში განხორციელებას. ეს განსაზღვრავს, მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პორტფელის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევაზე დაკავშირებული ვალდებულების ხანგრძლივობასთან თუ ფულადი სახსრების გადინებასა და ფულადი ნაკადების მიღებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ არის შეფასებული და წარდგენილი კომპანიის ხელმძღვანელობისთვის პორტფელის მაჩვენებლები;
- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს მოდელზე (და ამ ბიზნეს მოდელით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება მენეჯმენტის ანაზღაურება - მაგალითად, ეფუძნება თუ არა მათი ანაზღაურება ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლებიც ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე მოგება-ზარალში, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არ არის განკუთვნილი.

შეფასება, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითად თანხისა და პროცენტის გადახდას

ამ შეფასების მიზნებისთვის, 'ძირითად თანხა' განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია კონკრეტული პერიოდის

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

განმავლობაში, აგრეთვე, სხვა ძირითადი დაკრედიტების რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) და მოგების მარჟისთვის.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, კომპანია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს შეფასება მოიცავს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც, შესაძლოა, ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, იმდაგვარად, რომ დაირღვეს შესაბამისობა ამ პირობებთან. ამ შეფასების გაკეთებისას კომპანია განიხილავს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა, ცვლიდეს ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობებს, რომლებსაც შეუძლიათ, შეცვალონ სახელშეკრულებო განაკვეთი, ცვლადი განაკვეთის ჩათვლით;
- წინასწარ გადახდისა და გადავადების ფუნქციებს;
- პირობებს, რომლებიც ზღუდავენ კომპანიის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციის შემდგომი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან. მიმდინარე და გასულ საანგარიშო პერიოდში ბიზნეს-მოდელი, რომლის პირობებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ სახსრებს, არ შეცვლილა და ამდენად, რეკლასიფიცირება არ მომხდარა. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობაში გათვალისწინებულია საბუღალტრო/საადრინგხო პოლიტიკით ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

2.7 გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

გარდა შემენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს თანხით, რომელიც ტოლია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში (იწოდება, როგორც 1-ლი ეტაპი); ან
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხის არსებობის მანძილზე, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე (იწოდება, როგორც მე-2 და მე-3 ეტაპი).

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი საჭიროა შეიქმნას იმ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იზომება თანხით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა.

სხვა დებიტორული დავალიანებების რეზერვი იანგარიშება თანხით, რომლებიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა სესხის არსებობის მანძილზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო დანაკარგების მიმდინარე ღირებულების ალბათურ-შეწონილ შეფასებას. იგი იზომება, როგორც ახლანდელი ღირებულება სხვაობისა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ღირებულებასა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური სცენარის გათვალისწინებით დისკონტირებული აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურად, სესხების ისეთი პორტფელისთვის, რომელთაც ეკონომიკური რისკების მსგავსი მახასიათებლები გააჩნიათ.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის შესახებ მოცემულია 15-ე შენიშვნაში ფინანსური რისკების მართვაში, სადაც მოყვანილია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინსტრუმენტების დაჯგუფება მათი კოლექტიურად შეფასების შემთხვევაში.

2.8 საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მოხდა ერთი ან რამდენიმე მოვლენა, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები მიეკუთვნება მე-3 ეტაპის აქტივებს. საკრედიტო გაუფასურება მტკიცდება შემდეგი მოვლენების დაკვირვებადი მონაცემებით:

- მსესხებლის ან კრედიტორის სერიოზული ფინანსური პრობლემები;
- კონტრაქტის დარღვევა, როგორცაა, დეფოლტი ან ვადაგადაცილებული ვალდებულება;
- სესხის გამცემი, მსესხებლის ფინანსური პრობლემების გამო მიდის გარკვეულ დათმობაზე, რის შესაძლებლობასაც კრედიტორი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შექმნა დიდი ფასდაკლებით, რაც წარმოშობილი საკრედიტო ზარალის მაჩვენებელია.

ზოგჯერ არ არის შესაძლებელი ცალკეული ზარალის გამომწვევი მოვლენის იდენტიფიცირება და ფინანსური აქტივის საკრედიტო გაუფასურება, შეიძლება, რამდენიმე მოვლენის კომბინირებული მოქმედებით იყოს გამოწვეული. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს, არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ის სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს და გაზომილია ამორტიზებული ღირებულებით.

სესხი ითვლება „საკრედიტო რისკით გაუფასურებულად“, როდესაც მსესხებელს ეძლევა შედავათი მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, თუ კი არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი, რომ დათმობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაღდი ფულის არმიღების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება და არ არსებობს გაუფასურების სხვა ნიშნები. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც განიხილება შედავათები, მაგრამ არ ხდება მათი გამოყენება, აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს საკრედიტო რისკით გაუფასურების აშკარა დამადასტურებელი ფაქტი, დეფოლტის განსაზღვრების ჩათვლით.

დეფოლტის განმარტება იხილეთ 15-ე შენიშვნა - ფინანსური რისკების მართვაში.

2.9 საკრედიტო რისკით გაუფასურებული შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური და აქტივები

საკრედიტო რისკით გაუფასურებულ შეძენილ ან წარმოშობილ ფინანსური აქტივებზე გაუფასურების შეფასება ხდება განსხვავებულად, რადგან ასეთი აქტივები გაუფასურებული იყო თავდაპირველი აღიარების დროს. ამ აქტივებისთვის კომპანია სესხის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ყველა ცვლილებას აღიარებს, როგორც გაუფასურების ზარალს ან მოგებას პირდაპირ მოგება - ზარალის ანგარიშგებაში აღიარებით.

2.10 საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

კომპანია ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომელიც ექვემდებარება გაუფასურების მოთხოვნას იმის შესაფასებლად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, კომპანია გაზომავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ იყენებს იმის დაშვებას, რომ დაბალი საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ანგარიშგების დღეს არ უნდა აღინიშნებოდეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, კომპანია ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომლებიც უფასურდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში.

იმის განსაზღვრისას, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ადარებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის რისკს ანგარიშგების დღეს და აღიარების დღეს ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის საფუძველზე. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას, რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია მოცემულ ვითარებაში. ასეთ ინფორმაციაში შედის: კომპანიის ისტორიული გამოცდილება და საპროგნოზო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია შეუსაბამოდ მაღალი ხარჯებისა და ზედმეტად დიდი მცდელობის გარეშე.

დეტალური ინფორმაცია საკრედიტო რისკის შეფასებასთან დაკავშირებით მოცემულია 15-ე შენიშვნა - ფინანსური რისკების მართვაში.

2.11 ჩამოწერა

სესხებისა და სავალო ფასიანი ქაღალდების ჩამოწერა ხდება, როდესაც კომპანიას არ აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება. ეს, ზოგადად, არის შემთხვევა, როდესაც კომპანია განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ ექნება აქტივები ან უზრუნველყოფილი შემოსავალი, რომლებიც შეძლებენ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირებას, ჩამოწერისთვის განკუთვნილი თანხების გადასახდელად. ამასთან, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება, შესაძლოა, კვლავ იყოს კომპანიის აღსრულების პროცედურები საგანი, ასეთი პროცედურების შედეგად მიღებული ამონაგები გამოიწვევს გაუფასურების კორექტირებას/მოგებას.

2.12 გაცემული სესხები და მისაღები ანგარიშები.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამოზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე, ამორტიზაციის პროცესში.

2.13 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნია სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის საღირებვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

| | |
|--------------------------------------|-------------------------------------|
| | სასარგებლო მომსახურების ვადა |
| იჯარით აღებული ფართების კეთილმოწყობა | 2-5 |

2.14 არამატერიალური აქტივები.

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 7 წლის განგარიშებით.

2.15 მოგების გადასახადი.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის

მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც, ასევე, აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ, რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2.16 ანარიცხები

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.17 იჯარები

იჯარების აღრიცხვა კომპანიის, როგორც მოიჯარის მიერ, 2019 წლის 1 იანვრიდან. კომპანია იჯარით იღებს ოფისებს, ავტომობილებს, ავეჯსა და კომპიუტერულ ტექნიკას ფილიალებისა და სერვის ცენტრებისათვის. იჯარები აღიარებულია როგორც გამოყენების უფლებით არსებული აქტივები და შესაბამისი ვალდებულება იმ დღეს, როდესაც საიჯარო აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომია კომპანიის მიერ. თითოეული საიჯარო გადახდა განაწილებულია ვალდებულების და საპროცენტო ხარჯს შორის. საპროცენტო ხარჯი ერიცხება მოგებას ან ზარალს იჯარის პერიოდში მუდმივის პერიოდული საპროცენტო განაკვეთის წარმოებისთვის ვალდებულების ნარჩენ ბალანსზე თითოეულ პერიოდში. გამოყენების უფლებით არსებული აქტივი ამორტიზირდება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადას და იჯარის ვადას შორის უმცირესით წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა იჯარიდან თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული გადახდები), მინუს საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანებები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომელიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს;

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- თანხები, რომლებიც სავარაუდოდ გადასახდელია მოიჯარის მიერ ნარჩენი ღირებულების გარანტიების ფარგლებში;
- შესყიდვის ფასის ოფციონის გამოყენება, თუ არსებობს სათანადო საფუძველი იმისა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს; და
- ჯარიმების გადახდა იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს, რომ მოიჯარე იყენებს აღნიშნულ ოფციონს.

საიჯარო გადახდები დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ შეუძლებელია აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა, გამოიყენება მოიჯარის მზარდი სასესხო განაკვეთი, რომელიც არის განაკვეთი, რომელსაც მოიჯარე გადაიხდის მსგავსი ღირებულების აქტივის შეძენისთვის საჭირო სახსრების შესაძლებლობისთვის, მსგავს ეკონომიკურ პირობებში მსგავსი პირობებით და დებულებებით.

გამოყენების უფლებით არსებული აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგ თავდაპირველი აღიარებისას:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა დაწყების დღეს ან მანამდე, მინუს მიღებული საიჯარო შეღავათები;
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები;
- აღდგენის ხარჯები.

საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს გაგრძელების ოფციონის გამოყენების ან შეწყვეტის ოფციონის არგამოყენების კუთხით. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) შეტანილია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი).

საოპერაციო იჯარების აღრიცხვა კომპანიის, როგორც მეიჯარის მიერ. როდესაც აქტივები გადაეცემა საოპერაციო იჯარაში, მისაღები იჯარის გადახდები აისახება, როგორც საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადაში.

2.18 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარჩები. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილი ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

2.19 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე, თორმეტი თვის განმავლობაში, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.20 ნასესხები საშუალებები.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.21 ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განვიტებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.22 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე, კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის, წილობრივი ინსტრუმენტი, გადაანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი სამართლიანი ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც სამართლიანი ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2025 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთები: 1 აშშ დოლარი = 2.6951 ლარი და 1 ევრო = 3.1737 ლარი (2024 წლის 31 დეკემბრისთვის: 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი და 1 ევრო = 2.9306 ლარი).

2.23 საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად, წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსურ ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა.

2.24 სხვა მომსახურების გაწევიდან ამონაგების აღიარება.

გაყიდული მომსახურება აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღე-ისა და ფასდათმობის გარეშე.

2.25 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.26 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ

ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.27 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

2.28 მიღებული გასამრჯელო და საკომისიო.

კომპანია გამოიმუშავებს სხვადასხვა ტიპის მომსახურებაზე საკომისიოს, რომელთა აღიარებაც ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულებისთანავე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ზუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად, შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც, შესაძლოა, განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 საპროგნოზო სცენარების დადგენა

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება მოსაზრებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 15-ე შენიშვნაში.

3.2 დეფოლტის ალბათობა

დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 15-ე შენიშვნაში.

3.3 ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში არის შესაძლო ზარალის სიდიდე, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 15-ე შენიშვნაში.

3.4 იჯარები - ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთის შეფასება

კომპანიას არ შეუძლია იჯარაში შემავალი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა, შესაბამისად, საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად ის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იყენებს. ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევდა გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის ღირებულების მსგავსი ფასის მქონე აქტივის მისაღებად საჭირო

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

თანხების მსგავსი ვადის და მსგავსი უზრუნველყოფის მქონე სესხის დასაფარად მსგავს ეკონომიკურ გარემოში. შესაბამისად, ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი ასახავს იმას, თუ „რისი გადახდა მოუწევდა“ კომპანიის, რაც საჭიროებს შეფასებას ემპირიული განაკვეთების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ან თუ საჭიროა მათი ცვლილება იჯარის პირობების ასახვის მიზნით. კომპანიამ ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი შეაფასა ემპირიული შემავალი ინფორმაციის (საბაზრო საპროცენტო განაკვეთი) გამოყენებით.

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| | 2025 წლის 31 დეკემბერი | 2024 წლის 31 დეკემბერი |
|--------------------------------------------------|------------------------|------------------------|
| ნაღდი ფული | 4,504 | 4,185 |
| საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე | 1,480 | 1,330 |
| სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 5,984 | 5,515 |

5. კლიენტებზე გაცემული სესხები

| | 2025 წლის 31 დეკემბერი | 2024 წლის 31 დეკემბერი |
|-----------------------------------------------|------------------------|------------------------|
| ძირი თანხა | 64,580 | 48,878 |
| დარიცხული პროცენტი | 704 | 520 |
| გაუფასურების რეზერვის ანარიცხები | (572) | (531) |
| სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (ნეტო) | 64,712 | 48,867 |

უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით კლიენტებზე გაცემული სესხები მოცემულია ქვევით:

| | 2025 წლის 31 დეკემბერი | 2024 წლის 31 დეკემბერი |
|----------------------------------------|------------------------|------------------------|
| ოქროთი და ძვირფასეულობით | 51,356 | 37,623 |
| არაუზრუნველყოფილი/საბლანკო | 13,912 | 11,775 |
| მესამე პირის გარანტია | 2 | - |
| სხვა | 14 | - |
| სულ კლიენტებზე გაცემული სესხები | 65,284 | 49,398 |

2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის კლიენტებზე გაცემული სალომბარდე სესხების ნაწილი 47,995 და 32,914 შესაბამისად, დაგირავებულია საბანკო სესხის უზრუნველყოფის სახით. დეტალები იხილეთ ახსნა განმარტებით შენიშვნა 10.

სალომბარდე სესხების ფარგლებში უზრუნველყოფაში აღებული ოქროს ღირებულების შესახებ ცხრილი მოცემულია ქვევით. შეფასება განხორციელებულია კომპანიის შიდა მეთოდოლოგიით:

| | 2025 წლის 31 დეკემბერი |
|------------------------------------------------------------------|-------------------------------|
| გირავნობის ფარგლებში მიღებული ოქროს ღირებულება: | |
| მათ შორის რომელიც მიზარების/შენახვის ხელშეკრულების საფუძველზე | 54,191 |
| ბანკისთვის არის გადაცემული | |
| მათ შორის რომელიც მიზარების/შენახვის ხელშეკრულების საფუძველზე არ | 2,169 |
| არის ბანკისთვის გადაცემული და არც ბანკში გადაგირავებული | |
| ჯამი | 56,360 |
| | 2024 წლის 31 დეკემბერი |

გირავნობის ფარგლებში მიღებული ოქროს ღირებულება:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

| | |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------|
| მათ შორის რომელიც მიზარების/შენახვის ხელშეკრულების საფუძველზე ბანკისთვის არის გადაცემული | 26,968 |
| მათ შორის რომელიც მიზარების/შენახვის ხელშეკრულების საფუძველზე არ არის ბანკისთვის გადაცემული და არც ბანკში გადაგირავებული | 9,003 |
| ჯამი | 35,971 |

ბანკში მიზარებულ ოქროსთან მიმართებაში, ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტის დროს კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე, განსაზღვრული შენახვის საფასურის სრულად გადახდამდე ან/და შენახვისთვის გაწეული საზღაურის/ხარჯების ანაზღაურებამდე გამოიყენოს ნივთის დაკავების უფლება და უარი თქვას მიზარებული ნივთის დაბრუნებაზე.

2025 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

| საეჭვო ვალების რეზერვი | ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 2 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 3 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | სულ |
|---------------------------------------------------|--------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------|--------------|
| ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის | 401 | 49 | 81 | 531 |
| საკრედიტო რისკის განაკვეთების ცვლილების ეფექტი | (27) | 10 | - | (17) |
| ახალგაცემული სესხები | 327 | 131 | 15 | 473 |
| გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე | (11) | 11 | - | - |
| გადატანა პირველიდან მესამე ეტაპზე | 1 | - | (1) | - |
| გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე | - | 3 | (3) | - |
| დაფარული სესხები | (291) | (24) | (27) | (342) |
| წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხები | (13) | (14) | (2,519) | (2,546) |
| ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა | - | - | 2,473 | 2,473 |
| ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის | 387 | 166 | 19 | 572 |

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

| საეჭვო ვალების რეზერვი | ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 2 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 3 – სრულ საციცოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | სულ |
|---------------------------------------------------|--------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------|----------------|
| ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის | 334 | 101 | 11 | 446 |
| საკრედიტო რისკის განაკვეთების ცვლილების ეფექტი | (24) | (10) | (102) | (136) |
| ახალგაცემული სესხები | 2,007 | 83 | - | 2,090 |
| გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე | (6) | (26) | - | (32) |
| გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე | - | (99) | 111 | 12 |
| დაფარული სესხები | (1,910) | - | (76) | (1,986) |
| წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხები | - | - | (2,216) | (2,216) |
| ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა | - | - | 2,353 | 2,353 |
| ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის | 401 | 49 | 81 | 531 |

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულების შესაბამისი მოძრაობა შემდეგია:

| გაცემული სესხები | ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 2 – სრულ საცივოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 3 – სრულ საცივოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | სულ |
|--------------------------------------------|--------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------|---------------|
| ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის | 48,632 | 534 | 232 | 49,398 |
| ახალგაცემული სესხები | 279,565 | 1,106 | 23 | 280,694 |
| გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე | (191) | 191 | - | - |
| გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე | - | (19) | 19 | - |
| გადატანა პირველიდან მესამე ეტაპზე | (7) | - | 7 | - |
| დაფარული სესხები | (264,145) | (405) | (77) | (264,627) |
| წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხები | - | - | (2,654) | (2,654) |
| ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა | - | - | 2,473 | 2,473 |
| ბალანსი 2025 წლის 31 დეკემბრისათვის | 63,854 | 1,407 | 23 | 65,284 |

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის სესხის მთლიანი საბალანსო ღირებულების შესაბამისი მოძრაობა შემდეგია:

| გაცემული სესხები | ეტაპი 1 – 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 2 – სრულ საცივოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | ეტაპი 3 – სრულ საცივოცხლო პერიოდზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | სულ |
|--------------------------------------------|--------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------|---------------|
| ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის | 38,227 | 915 | 22 | 39,164 |
| ახალგაცემული სესხები | 229,701 | - | - | 229,701 |
| გადატანა პირველიდან მეორე ეტაპზე | (748) | 748 | - | - |
| გადატანა მეორედან მესამე ეტაპზე | - | (232) | 232 | - |
| დაფარული სესხები | (218,548) | (897) | (159) | (219,604) |
| წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხები | - | - | (2,216) | (2,216) |
| ადრე ჩამოწერილი სესხების აღდგენა | - | - | 2,353 | 2,353 |
| ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის | 48,632 | 534 | 232 | 49,398 |

კომპანიას ბალანსიდან ჩამოწერილი აქვს და გარესბალანსო ანგარიშებზე აღრიცხავს 4,558 და 3,637 ლარის სესხებს 2025 და 2024 წლის 31 დეკემბერს, შესაბამისად. ეს სესხები ექვემდებარება აღსრულების პროცედურებს. ზოგადად, კომპანია სესხების ჩამოწერას ახორციელებს დღიური გადახდის სესხებისთვის 60 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ყველა სხვა სესხისთვის 90 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, თუმცა, ზოგიერთი სესხის ჩამოწერაზე გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომა.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ძირითადი საშუალებები

იჯარით აღებული ფართების კეთილმოწყობა

| ისტორიული ღირებულება: | |
|-------------------------------------|------|
| 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 313 |
| დამატება | 77 |
| გასვლა | (29) |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 361 |
| 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 361 |
| ცვეთა: | |
| 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 214 |
| პერიოდის ცვეთა | 54 |
| გასულის ცვეთა | (6) |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 262 |
| პერიოდის ცვეთა | 59 |
| 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 321 |
| წმინდა საბალანსო ღირებულება: | |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 99 |
| 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 40 |

კომპანიის ბალანსზე აღრიცხული ქონება არაა დაგირავებული მესამე მხარის სასარგებლოდ.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანია იჯარით იღებს ოფისებს, ავტომობილებს, ავეჯსა და კომპიუტერულ ტექნიკას ფილიალებისა და სერვის ცენტრებისათვის. იჯარის ხელშეკრულებები ფორმდება 1-დან 6 წლამდე ფიქსირებული პერიოდის განმავლობაში.

აქტივები გამოყენების უფლების ფორმით, ძირითადი ერთეულების კლასის მიხედვით, იშლება შემდეგნაირად:

| | საოფისე და არქივის ფართი | ავტომანქანები | ავეჯი, კომპიუტერული და საცხოვრებელი ტექნიკა, ოფისის აღჭურვილობები | სულ |
|------------------------------------------------|-----------------------------|---------------|----------------------------------------------------------------------------------|---------------|
| ისტორიული ღირებულება: | | | | |
| 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 8,120 | 4,368 | 1,154 | 13,642 |
| დამატება | - | - | 646 | 646 |
| მოდიფიკაციის ეფექტი | 14 | 138 | - | 152 |
| გასვლა | (63) | - | (1,154) | (1,217) |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 8,071 | 4,506 | 646 | 13,223 |
| დამატება | 3,392 | - | - | 3,392 |
| 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 11,463 | 4,506 | 646 | 16,615 |
| ცვეთა: | | | | |
| 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 4,879 | 2,645 | 613 | 8,137 |
| ცვეთა | 1,079 | 386 | 117 | 1,582 |
| გასულის ცვეთა | (33) | - | (709) | (742) |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 5,925 | 3,031 | 21 | 8,977 |
| ცვეთა | 1,699 | 402 | 129 | 2,230 |
| 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 7,624 | 3,433 | 150 | 11,207 |
| წმინდა საბალანსო ღირებულება: | | | | |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2,146 | 1,475 | 625 | 4,246 |
| 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 3,839 | 1,073 | 496 | 5,408 |

საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 673 და 671 ათას ლარს, შესაბამისად.

ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში ასახული მოკლევადიან და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯების ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

| | 2025 | 2024 |
|-----------------------------|------|------|
| მოკლევადიანი იჯარის ხარჯები | 36 | 669 |

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საერთო ფულადი გადინება იჯარებთან დაკავშირებით 2025 და 2024 წლებში შეადგენდა 2,746 და 2,094 ათას ლარს, შესაბამისად. იჯარის ხელშეკრულებები არ გულისხმობს რაიმე სახის პირობებს (კოვენანტებს) საკუთრების უფლებების დაცვის გარდა საიჯარო აქტივებში, რომელსაც ფლობს მეიჯარე. საიჯარო აქტივები არ შეიძლება გამოყენებული იქნას უზრუნველყოფად სესხებზე. საიჯარო ვალდებულების ცვლილების დეტალები ასახულია მე-19 ახსნა განმარტებით შენიშვნაში.

8. არამატერიალური აქტივები

| პროგრამული უზრუნველყოფა | |
|--------------------------------------------|------------|
| ისტორიული ღირებულება: | |
| 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 289 |
| დამატება | 48 |
| გასვლა | (49) |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 288 |
| დამატება | 64 |
| გასვლა | (49) |
| 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 303 |
| ამორტიზაცია: | |
| 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 213 |
| პერიოდის ამორტიზაცია | 92 |
| გასულების ამორტიზაცია | (49) |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 256 |
| პერიოდის ამორტიზაცია | 77 |
| გასულების ამორტიზაცია | (49) |
| 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 284 |
| წმინდა საბალანსო ღირებულება: | |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 32 |
| 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 19 |

9. მოგების გადასახადი

(a) მოგების გადასახადის ხარჯის კომპონენტები

მოგება-ზარალში ასახული მოგების გადასახადი შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

| | 2025 | 2024 |
|-------------------------------------------|--------------|--------------|
| მიმდინარე გადასახადის ხარჯი | 1,456 | 1,297 |
| გადავადებული გადასახადის ხარჯი (შეღავათი) | 7 | 52 |
| სულ წლის მოგების გადასახადის ხარჯი | 1,463 | 1,349 |

(b) საგადასახადო ხარჯისა და მოგება-ზარალის შეჯერება გამრავლებული შესაბამის საგადასახადო განაკვეთზე

კომპანიის შემოსავლის ძირითადი ნაწილის მოგების გადასახადის განაკვეთი 2024 და 2023 წელს გახლდათ 20%. მოგების გადასახადის ხარჯისა და ფაქტობრივი საგადასახადო ხარჯების შეჯერება მოცემულია ქვემოთ.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

| | 2025 | 2024 |
|-----------------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე | 7,877 | 5,685 |
| თეორიული საგადასახადო ხარჯი კანონით განსაზღვრული 20%-იანი განაკვეთით | 1,575 | 1,137 |
| საგადასახადო გავლენა არაგამოქვითვად ხარჯებზე/(დაუბეგრავი შემოსავალზე) | (112) | 212 |
| სულ წლის მოგების გადასახადის ხარჯი | 1,463 | 1,349 |

(გ) დროებითი განსხვავებების მიხედვით გაანალიზებული გადავადებული გადასახადი

2016 წელს ფინანსური დაწესებულებების, მათ შორის ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების, მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებულ მოდელში ცვლილება შევიდა. ცვლილების მიხედვით, გაუნაწილებელი მოგება დაიბეგრება ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით 2023 წლის 1 იანვრიდან (2018 წლის ცვლილების მიხედვით). 2022 წლის დეკემბერში ამოქმედდა საქართველოს საგადასახადო კანონში შესული დამატებითი ცვლილებები ფინანსური სექტორისთვის მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილება ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან და ახალი რეგულაციის მიხედვით, მოგების გადასახადი იქნება 20% ბანკებისთვის, საკრედიტო კავშირებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა (როგორცაა კომპანია) და სესხების გამცემი სუბიექტებისთვის. ცვლილებების ძალაში შესვლასთან ერთად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთი 2023 წლიდან 15%-დან 20%-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, 2023 წლიდან დასაბეგრი საპროცენტო შემოსავალი და მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლის გამოქვითვა შესაძლებელია, განისაზღვრება ფასს-ის და არა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით.

დროებითი განსხვავებების გავლენა გადასახადების თვალსაზრისით 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

| | 31 დეკემბრისთვის 2024 წ. | მოგება-ზარალზე (დარიცხული)/ დაკრედიტებული | 31 დეკემბრისთვის 2025 წ. |
|---------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------|-------------------------------------------------|--------------------------------|
| გამოქვითვადი/(დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო გავლენა | | | |
| ძირითადი საშუალებები | 7 | (1) | 6 |
| არამატერიალური აქტივები | 2 | (2) | - |
| საეჭვო ვალების რეზერვი | - | - | - |
| გაუცემელი ხელფასი | 120 | (5) | 115 |
| ნეტო გადავადებული მოგების გადასახადის (ვალდებულება)/აქტივი | 129 | (8) | 121 |

დროებითი განსხვავებების გავლენა გადასახადების თვალსაზრისით 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

| | 31 დეკემბრისთვის 2023 წ. | მოგება-ზარალზე (დარიცხული)/ დაკრედიტებული | 31 დეკემბრისთვის 2024 წ. |
|---------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------|-------------------------------------------------|--------------------------------|
| გამოქვითვადი/(დაბეგვრადი) დროებითი განსხვავებების საგადასახადო გავლენა | | | |
| ძირითადი საშუალებები | 19 | (12) | 7 |
| არამატერიალური აქტივები | 5 | (3) | 2 |
| საეჭვო ვალების რეზერვი | - | - | - |
| გაუცემელი ხელფასი | 157 | (37) | 120 |
| ნეტო გადავადებული მოგების გადასახადის (ვალდებულება)/აქტივი | 181 | (52) | 129 |

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. ნასესხები საშუალებები

| | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2024 წლის 31 დეკემბერი |
|-------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ვადიანი გრძელვადიანი სესხები | | |
| სესხები ფიზიკური პირებიდან | - | - |
| სესხები კომერციული ბანკებიდან | 4,648 | 25,700 |
| ვადიანი მოკლევადიანი სესხები | | |
| სესხები ფიზიკური პირებიდან | 925 | 1,293 |
| სესხები იურიდიული პირებიდან | 3,456 | 2,807 |
| სესხები კომერციული ბანკებიდან | 33,930 | 2,485 |
| გადასახდელი პროცენტები | 124 | 136 |
| სულ ნასესხები საშუალებები | 43,083 | 32,421 |

| | 2025 წლის 31 დეკემბერი | 2024 წლის 31 დეკემბერი |
|----------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სესხების დაფარვის გრაფიკები | | |
| 1 წლის განმავლობაში | 38,435 | 6,721 |
| 1-იდან 3-წლამდე პერიოდში | 4,648 | 25,640 |
| 3 წლის შემდეგ | - | 60 |
| სულ ნასესხები საშუალებები | 43,083 | 32,421 |

კომპანიის მიერ მიღებული სახსრები 2025 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დენომინირებულია მთლიანად ლარში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

| | 2025 წლის 31 დეკემბერი | 2024 წლის 31 დეკემბერი |
|-------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------|
| ლარში | | |
| სესხები კომერციული ბანკებიდან | ფიქსირებული - 13.5% ; 14.5 % | ფიქსირებული - 13.5% ; 14.5 % |
| სესხები კომერციული ბანკებიდან | ცვალებადი - რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთს დამატებული 2.3 % | ცვალებადი - რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთს დამატებული 2.3 % |
| სესხები ფიზიკური პირებიდან | საბაზისო განაკვეთი რაც წლის განმავლობაში შეადგენდა 11.8 % - 13.3 % | საბაზისო განაკვეთი რაც წლის განმავლობაში შეადგენდა 11.8 % - 13.3 % |
| სესხები იურიდიული პირებიდან | 17.10% | 17.10% |

2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „თიბისი ბანკის“ (1,222 და 1,492) სესხები უზრუნველყოფილი იყო კომპანიის მაკონტროლებელი პირების პირადი თავდებობებით, მაკონტროლებელი პირების მფლობელობაში არსებული კომპანიის უძრავი და მოძრავი ქონებით და ერთ-ერთი აქციონერის უძრავი ქონებით.

2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას სესხების უზრუნველყოფის მიზნით, ბანკში დაგირავებული აქვს კომპანიის მიერ გაცემული სესხები (43,083 და 32,914 შესაბამისად), და ამ სესხების ფარგლებში არსებული

**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

გირაოში მიღებული ოქრო და ძვირფასეულობა ბანკისთვის აქვს გადაცემული მიზარების ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანიის შიდა მეთოდოლოგიის საფუძველზე ამ ძვირფასეულობის შეფასებული ღირებულების ამსახველი ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

| | 2025 წლის 31 დეკემბერი | 2024 წლის 31 დეკემბერი |
|-----------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------|-------------------------------|
| | 2024 წლის 31 დეკემბრისა თვის | ფულადი ნაკადებით გამოწვეული სხვაობა და საშემოსავლოს დაკავება | ახალი ფინან სური იჯარი ს აღიარება | ფინანსური იჯარ ის ვალდებულებები ს ჩამოწერა | მოდიფიკაციი ს ეფექ | დივიდენდის/საიჯარ ო გადასახდელის დარიცხვა | გადაფასების ცვლილება | 2024 წლის 1 იანვრისათვის |
|----------------------------------------|------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------|-----------------------------------------------------|-----------------------|-------------------------------------------------|-------------------------|-----------------------------|
| გადასახდელი დივიდენდები ლიზინგის | 77 | (3,174) | - | - | - | 3,120 | 1 | 129 |
| გადასახაადელი ნასესხები საშუალებები | 4,690 32,285 | (2,095) 8,382 | 645 | (507) | 152 | 671 | 102 | 5,722 23,904 |
| ჯამი | 37,052 | 3,113 | 645 | (507) | 152 | 3,791 | 103 | 29,755 |

20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის - „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიმღება, დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიმღება, არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

| | დამფუძნებლები (კომპანიის მაკონტროლებელი ფიზიკური პირები) | მაკონტროლებელი პირის მფლობელობაში არსებული კომპანია | სხვა მენეჯმენტის, ამავდროულად აქციონერის საკუთრებაში არსებული კომპანია | სხვა დამფუძნებლები და აქციონერები, მათ შორის პრივილეგირებული აქციის მფლობელები | პრივილეგირე ბული აქციის სხვა მფლობელები | სხვა მენეჯმენტი, მათ შორის აქციონერი |
|------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------|-----------------------------------------------|
| გაცემული სესხები (ნაშთი ძირი და პროცენტი) | - | - | - | - | 20 | 0 |
| მიღებული სესხები (ნაშთი ძირი და პროცენტი) | 182 | - | 2,326 | 753 | - | - |
| საიჯარო ვალდებულება გადასახდელი დივიდენდი | - | 3,278 | - | - | - | - |
| საკასო მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულება (ნეტო) | - | - | - | - | 12 | - |
| წარმოშობილი ვალდებულება (ნეტო) | - | 1,805 | - | - | - | - |
| მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი | 62 | - | 244 | 114 | - | - |
| გამოცხადებული დივიდენდი | 1,717 | - | - | 148 | 1,447 | 12 |
| გადახდილი დივიდენდი | 1,227 | - | 12 | 879 | 1,269 | - |
| საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე | - | 250 | - | - | - | - |
| საკომისიო შემოსავალი | - | 1,305 | - | - | - | - |
| მოკლევადიანი სარგებელი - ხელფასები (გადასადხელი) | 27 | - | - | 74 | 2 | 20 |
| მოკლევადიანი სარგებელი - ხელფასები (ხარჯი) | 521 | - | - | 1,335 | 50 | 513 |

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

| | დამფუძნებლები (კომპანიის მაკონტროლებელი ფიზიკური პირები) | მაკონტროლებელი პირის მფლობელობაში არსებული კომპანია | სხვა მენეჯმენტის, ამავდროულად აქციონერის საკუთრებაში არსებული კომპანია | სხვა დამფუძნებლები და აქციონერები, მათ შორის პრივილეგირებული აქციის მფლობელები | პრივილეგირებული აქციის სხვა მფლობელები | სხვა მენეჯმენტი,მათ შორის აქციონერი |
|------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------|----------------------------------------------|
| გაცემული სესხები (ნაშთი ძირი და პროცენტი) | - | - | - | - | 1 | - |
| მიღებული სესხები (ნაშთი ძირი და პროცენტი) | 606 | - | 2,277 | 700 | - | - |
| საიჯარო ვალდებულება გადასახდელი დივიდენდი | - | 2,303 | - | - | - | - |
| საკასო მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულება (ნეტო) | - | 946 | - | - | 77 | - |
| მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი | 163 | - | 287 | 47 | - | - |
| გამოცხადებული დივიდენდი გადახდელი დივიდენდი | 1,350 929 | - | - | 137 753 | 1,623 1,447 | 10 |
| საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე | - | 281 | - | - | - | - |
| საკომისიო შემოსავალი | - | 512 | - | - | - | - |
| მოკლევადიანი სარგებელი - ხელფასები (გადასადხელი) | 70 | - | - | 69 | 1 | 24 |
| მოკლევადიანი სარგებელი - ხელფასები (ხარჯი) | 1,274 | - | - | 1,147 | 47 | 495 |

2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „თიბისი ბანკის“ (X და 1,492) სესხები უზრუნველყოფილი იყო კომპანიის დამფუძნებლებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პირადი თავდებობებით, მაკონტროლებელი პირების მფლობელობაში არსებული კომპანიის უძრავი და მოძრავი ქონებით.

21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2025 წლის 26 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომპანიას განუსაზღვრა დამატებითი ვადა 2026 წლის 31 დეკემბრამდე დაგირავებული აქტივების კოეფიციენტის რეგულატორულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, იმ პირობით, რომ აღნიშნულ პერიოდში კოეფიციენტი არ აღემატებოდა 180%-ს. აღნიშნულ პერიოდში კომპანიაზე დაწესდა მარეგულირებლის მიერ განსაზღვრული ოპერაციული შეზღუდვები.

ამ ანგარიშის ხელმოწერის თარიღამდე კომპანიამ გასცა დივიდენდი 2,301,398 ლარის ოდენობით. ხოლო სესხის სახით მიიღო 6,814,600 ლარი.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 8 მაისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.



სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი +“

მმართველობითი ანგარიშგება 2025 წელი

(მოიცავს 2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს)

თბილისი, 2026

1. გენერალური დირექტორის მიმართვა

პატივცემულო სამეთვალყურეო საბჭოს წევრებო, პარტნიორებო, თანამშრომლებო და დაინტერესებულო მხარეებო,

2025 წელი სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტერვისი +“-ისთვის იყო მნიშვნელოვანი პროგრესის, სტაბილური ზრდისა და ორგანიზაციული გაძლიერების წელი. მიუხედავად ეკონომიკური და რეგულაციური გარემოს მზარდი გამოწვევებისა, ორგანიზაციამ შეძლო შეენარჩუნებინა ფინანსური მდგრადობა, გაეზარდა საკრედიტო პორტფელი, გაუმჯობესებინა მომგებიანობის მაჩვენებლები და გაეგრძელებინა მმართველობითი და საოპერაციო სისტემების განვითარება.

2025 წლის ბოლოსთვის კომპანიის საკრედიტო პორტფელმა 64.7 მილიონ ლარს გადააჭარბა, ხოლო წმინდა მოგებამ 6.4 მილიონი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საკუთარი კაპიტალი და შენარჩუნდა აქტივების ხარისხი, რაც ადასტურებს ჩვენი ბიზნეს მოდელის მდგრადობასა და ეფექტიანობას.

ჩვენი ორგანიზაციის მთავარი ძალა ყოველთვის იყო მომხმარებლის ნდობა, თანამშრომლების პროფესიონალიზმი და მრავალწლიანი გამოცდილება. უკვე 26 წელია კომპანია ყოველდღიურად ემსახურება ათიათასობით მომხმარებელს საქართველოს მასშტაბით და აგრძელებს განვითარებას პასუხისმგებლიანი დაკრედიტების, ოპერაციული დისციპლინისა და გრძელვადიანი სტაბილურობის პრინციპებზე დაყრდნობით.

2025 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო:

- რისკების მართვის სისტემების გაძლიერებას;
- AML/KYC პროცესების განვითარებას;
- შიდა კონტროლის გაუმჯობესებას;
- საოპერაციო რისკების შემცირებას;
- კორპორაციული მმართველობის სტანდარტების გაძლიერებას;
- ტექნოლოგიური და პროცესული გაუმჯობესებების განხორციელებას.

2025 წელი ასევე მნიშვნელოვანი იყო ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით. ორგანიზაციამ დაიწყო ხელოვნური ინტელექტის (AI) დანერგვა სხვადასხვა საოპერაციო და ანალიტიკურ პროცესში, რამაც ხელი შეუწყო რიგი მნიშვნელოვანი პროცესების ავტომატიზაციას, მონაცემთა ანალიზის გაუმჯობესებასა და გადაწყვეტილებების მიღების ეფექტიანობის ზრდას. აღნიშნული მიმართულება კომპანიის ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად განიხილება.

2026 წელს კომპანია გეგმავს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების კიდევ უფრო ფართო განვითარებას მრავალი მიმართულებით, მათ შორის:

- საოპერაციო პროცესების ავტომატიზაციაში;
- რისკების ანალიზში;

- AML მონიტორინგში;
- მომხმარებელთა მომსახურებაში;
- მონაცემთა ანალიტიკაში;
- შიდა კონტროლის პროცესებში.

ორგანიზაცია ასევე გეგმავს პარტნიორ კომპანიებთან თანამშრომლობით ახალი ონლაინ პლატფორმის განვითარებას, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს დისტანციურად მიიღონ სხვადასხვა ფინანსური მომსახურება და სრულფასოვნად ისარგებლონ კომპანიის პროდუქტებით ონლაინ გარემოში.

სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილება ონლაინ ლომბარდის შექმნა. კომპანიას აქვს ამბიციის, გახდეს სექტორში ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებლებს შესთავაზებს ონლაინ ოქროს ლომბარდის მომსახურებას თანამედროვე ციფრული არხების გამოყენებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიმდინარე რეგულაციური გარემო ფინანსური სექტორის მონაწილეებისგან მოითხოვს მმართველობის, გამჭვირვალობისა და შესაბამისობის უფრო მაღალ სტანდარტებს. კომპანია სრულად აცნობიერებს ამ პასუხისმგებლობას და აგრძელებს ორგანიზაციული პროცესების ადაპტაციას ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში.

2026 წლისთვის ჩვენი მთავარი მიზანია:

- მდგრადი და კონტროლირებადი ზრდა;
- პორტფელის ხარისხის შენარჩუნება;
- საოპერაციო ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- კაპიტალის პოზიციის შემდგომი გაძლიერება;
- მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების განვითარება;
- რისკებისა და შესაბამისობის სისტემების სრულყოფა;
- ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის გაგრძელება.

წარმოდგენილი ბიუჯეტი და სტრატეგიული მიმართულებები ეფუძნება რეალისტურ ფინანსურ პროგნოზებს, ორგანიზაციის გამოცდილებასა და გრძელვადიანი განვითარების ხედვას. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია შეინარჩუნებს სტაბილურობას, კონკურენტუნარიანობას და შექმნის დამატებით ღირებულებას როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე აქციონერებისთვის.

მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო:

- სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერისა და ჩართულობისთვის;
- თითოეულ თანამშრომელს პროფესიონალიზმისა და თავდადებული მუშაობისთვის;
- ჩვენს მომხმარებლებს მრავალწლიანი ნდობისთვის;
- პარტნიორებსა და დამფინანსებლებს თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

გურამ კანდელაკი
გენერალური დირექტორი

2. კომპანია ერთი შეხედვით

2025 წელი კომპანიისთვის ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული წელი იყო — ფინანსური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდით ყველა ძირითადი მიმართულებით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

| მაჩვენებელი (ათასი ლარი) | 2025 | 2024 | ცვლილება |
|------------------------------------|--------------|--------------|---------------|
| სულ აქტივები | 76,712 | 59,172 | +29.6% |
| კლიენტებზე გაცემული სესხები (ნეტო) | 64,712 | 48,867 | +32.4% |
| საკუთარი კაპიტალი | 22,144 | 17,254 | +28.3% |
| ნასესხები საშუალებები | 43,083 | 32,421 | +32.9% |
| სულ შემოსავალი | 31,414 | 27,713 | +13.4% |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 9,452 | 7,647 | +23.6% |
| მოგება დაბეგვრამდე | 7,877 | 5,685 | +38.6% |
| წმინდა მოგება | 6,414 | 4,336 | +47.9% |

ძირითადი კოეფიციენტები

| კოეფიციენტი | 2025 | 2024 |
|-------------------------------------------|-------|-------|
| აქტივების უკუგება (ROA) | 9.4% | 7.9% |
| საკუთარი კაპიტალის უკუგება (ROE) | 32.5% | 26.0% |
| საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში | 28.9% | 29.2% |
| სესხების გაუფასურების რეზერვი / პორტფელი | 0.88% | 1.07% |
| საპროცენტო მარჟა (NII / საშუალო პორტფელი) | 16.6% | 17.3% |

საოპერაციო მასშტაბი

| მაჩვენებელი | 2025 |
|----------------------------------------------|-----------------------|
| თანამშრომელთა რაოდენობა | 328 |
| ფილიალების რაოდენობა | 50 (NBG-ის რეესტრით) |
| 24/7 რეჟიმში მომუშავე ფილიალი | 8 |
| გეოგრაფიული დაფარვა | 26 ქალაქი / 9 რეგიონი |
| სასესხო პორტფელში ოქროთი უზრუნველყოფილი წილი | 78.7% |

წლის მთავარი მოვლენები

- წმინდა მოგების ზრდა 47.9%-ით — 4,336-დან 6,414 ათას ლარამდე;
- პორტფელის ზრდა 32.4%-ით — საუკეთესო შედეგი ბოლო წლების მანძილზე;
- კაპიტალის ბაზის გაძლიერება — D-ტიპის პრივილეგირებული აქციების ემისია 1,800 ათასი ლარის ოდენობით;
- რეგულატორული გარემო — ეროვნულმა ბანკმა გაგრძელა ვადა დაგირავებული აქტივების კოეფიციენტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

3. კომპანიის შესახებ

3.1. სამართლებრივი სტატუსი და ისტორია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტერვისი +“ დაარსდა 1999 წლის 4 ნოემბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით. კომპანიის საქმიანობის ისტორიის ეტაპებია:

- 1999 — კომპანიის დაფუძნება;
- 2008 — საქართველოს ეროვნულ ბანკში მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაცია;
- 2019 — სამართლებრივი ფორმის ცვლილება სააქციო საზოგადოებად.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 202950226. იურიდიული მისამართია: პეკინის გამზ #33ა, თბილისი, საქართველო.

3.2. ბიზნეს მოდელი და ძირითადი საქმიანობა

კომპანია მიკროსაფინანსო სექტორის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა საქართველოში. კომპანიის საქმიანობა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს — სასესხო პროდუქტებსა და არასასესხო მომსახურებებს.

სასესხო პროდუქტები

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მცირე და საშუალო ზომის სესხების გაცემა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე:

- ლომბარდული სესხები — ოქროთი და ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი (პორტფელის 78.7%);
- არაუზრუნველყოფილი სესხები (პორტფელის 21.3%).

ბიზნეს მოდელის ცენტრში არის უზრუნველყოფაზე დაფუძნებული მიდგომა — სასესხო პორტფელის თითქმის 80% ოქროთი და ძვირფასეულობითაა უზრუნველყოფილი, რაც კომპანიის რისკის პროფილს ფუნდამენტურად სტაბილურს ხდის.

არასასესხო პროდუქტები და მომსახურებები

სასესხო საქმიანობის გვერდით კომპანია სთავაზობს კლიენტებს ფინანსური მომსახურებების ფართო სპექტრს, რომელიც კომპლემენტარულად ემსახურება ფილიალების ქსელის გამოყენების ეფექტიანობას და კლიენტებთან ურთიერთობის გაღრმავებას:

- სავალუტო ოპერაციები;
- ფულადი გზავნილების მომსახურება;
- კომუნალური გადახდები;
- სადაზღვევო მომსახურება;

- საგადახდო მომსახურების აგენტების მომსახურება.

ეს არასასესხო პროდუქტები კომპანიის საკომისიო შემოსავლის ძირითად წყაროდ ისახება — 2025 წელს საკომისიო შემოსავალმა 14,269 ათასი ლარი შეადგინა, რაც კომპანიის მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლების 89%-ია.

3.3. პერსონალი

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 328 თანამშრომელი, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის ოპერაციების უწყვეტობას ფილიალების ქსელის მეშვეობით საქართველოს მასშტაბით.

3.4. ფილიალების ქსელი

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ოპერაციული ქსელი მოიცავს 50 სერვის-ცენტრს და სათავო ოფისს თბილისში. ფილიალები განთავსებულია 26 ქალაქში/მუნიციპალიტეტში — საქართველოს 9 ადმინისტრაციულ რეგიონში, რაც კომპანიას ქვეყნის მასშტაბით ფიზიკური ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ ყველაზე ფართო ქსელს უქმნის მიკროსაფინანსო სექტორში.

ფილიალებიდან 8 (16%) მუშაობს 24/7 რეჟიმში, რაც კომპანიას შესაძლებლობას აძლევს მომსახურება გაუწიოს კლიენტებს განსხვავებული საათობრივი მოთხოვნილებებით — განსაკუთრებით სხვადასხვა ცვლაში მომუშავე პირებს და გადაუდებელი ფინანსური საჭიროების მქონე მომხმარებლებს.

რეგიონული გადანაწილება

| რეგიონი | ფილიალი | ქალაქები |
|------------------------|-----------|-----------------------------------------------------|
| თბილისი (დედაქალაქი) | 14 | თბილისი (მათ შორის სათავო ოფისი) |
| იმერეთი | 8 | ქუთაისი (4), ზესტაფონი, საჩხერე, ტყიბული, სამტრედია |
| აჭარა | 7 | ბათუმი (6), ქობულეთი |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 5 | ზუგდიდი (2), ფოთი (2), სენაკი |
| სამცხე-ჯავახეთი | 4 | ახალქალაქი (2), ნინოწმინდა, ახალციხე |
| კახეთი | 4 | თელავი, წნორი, საგარეჯო, ლაგოდეხი |
| შიდა ქართლი | 3 | გორი, კასპი, ხაშური |
| ქვემო ქართლი | 3 | რუსთავი, მარნეული, ნალკა |
| გურია | 2 | ოზურგეთი, ლანჩხუთი |
| სულ ფილიალი | 50 | 26 ქალაქი / 9 რეგიონი |

აღსანიშნავია, რომ ქსელის გეოგრაფიული გადანაწილება მოიცავს როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ცენტრებს (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი), ასევე მცირე და საშუალო ზომის რეგიონულ ცენტრებს, სადაც ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობა შედარებით შეზღუდულია — ეს კომპანიის სოციალური მისიის მნიშვნელოვანი ასპექტია.

4. ბაზარი და ინდუსტრიული კონტექსტი

კომპანიის 2025 წლის შედეგები განხორციელდა საქართველოს ეკონომიკის ხელსაყრელ მაკროეკონომიკურ გარემოში და მიკროსაფინანსო სექტორის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის ფონზე.

4.1. მაკროეკონომიკური გარემო

საქართველოს ეკონომიკამ 2025 წელს მნიშვნელოვანი ზრდის ტემპი შეინარჩუნა. რეალური მშპ-ის ზრდა, წინასწარი შეფასებებით, დაახლოებით 7.3% შეადგინა (2024: 9.4%), ნომინალურმა მშპ-მ კი 104 მილიარდ ლარს გადააჭარბა. ფასების კონტროლირებადი დინამიკა (საშუალო წლიური ინფლაცია 3.7%), სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის სტაბილურობა (8.0%) და ლარის შედარებითი მდგრადობა (USD/GEL ≈ 2.78) კომპანიის ბიზნესისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა — მცხოვრებელთა შემოსავლების ზრდა, მოთხოვნა საკრედიტო პროდუქტებზე და სტაბილური ფინანსირების ხარჯები.

4.2. მიკროსაფინანსო სექტორი 2025 წელს

საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორი 2025 წელს კონცენტრირებული დარჩა — წლის ბოლოს ბაზარზე ოპერირებდა 29 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. სექტორის კონსოლიდირებული მაჩვენებლები 2025 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით (ეროვნული ბანკის IV კვარტლის კონსოლიდირებული ანგარიშგების მიხედვით):

| მაჩვენებელი | მისო სექტორი | კრედიტსერვისი+ |
|-------------------------------------|--------------|----------------|
| სულ აქტივები (მლნ ლარი) | 2,233.5 | 76.7 |
| მთლიანი სასესხო პორტფელი (მლნ ლარი) | 1,893.1 | 65.3 |
| მათ შორის: ლომბარდული (მლნ ლარი) | 1,476.1 | 51.4 |
| მთლიანი კაპიტალი (მლნ ლარი) | 766.1 | 22.1 |
| წლიური წმინდა მოგება (მლნ ლარი) | 139.6 | 6.4 |
| ფილიალები / სერვისცენტრები | 379 | 50 |
| დასაქმებულები | 3,679 | 328 |

სექტორის წმინდა მოგება 2025 წ.-ისთვის 139.6 მლნ ლარს მიაღწია, რაც წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით მნიშვნელოვან აღმავლობას ასახავს — მაგალითად, 2026 წ. I კვარტალში სექტორის წმინდა მოგება უკვე 51.3 მლნ ლარი იყო, ანუ Q1 2025-თან შედარებით 76.5%-იანი ზრდით.

ამავდროულად, ახალი „მიკრობანკების“ საკანონმდებლო ჩარჩო (პირველი ლიცენზია გაიცა 2024 წ. დეკემბერში) ბაზრის ეტაპობრივ რესტრუქტურირებას განაპირობებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

4.3. კრედიტსერვისი+-ის პოზიცია სექტორში

კრედიტსერვისი+-ის წილი სექტორის ძირითად მაჩვენებლებში 2025 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| პარამეტრი | წილი სექტორში | რეიტინგი |
|------------------------|---------------|-------------|
| ფილიალების რაოდენობა | 13.2% | #2 (29-დან) |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 8.9% | #5 (29-დან) |
| წმინდა მოგების წილი | 4.6% | — |
| სასესხო პორტფელი | 3.5% | — |
| ლომბარდული პორტფელი | 3.5% | — |
| მთლიანი აქტივები | 3.4% | — |

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური წვდომის თვალსაზრისით კრედიტსერვისი+ სექტორის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა — 50 ფილიალით კომპანია მე-2 ადგილზეა საქართველოს ყველა მისო-დან. ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით კი, კომპანიის წილი წმინდა მოგებაში (4.6%) აღემატება მის წილს მთლიან აქტივებში (3.4%), რაც ბიზნეს მოდელის ეფექტიანობას ადასტურებს.

კომპანიის ფარდობითი უპირატესობები:

- ხანგრძლივი საქმიანობის ისტორია — 26 წელი ბაზარზე და 18 წელი ეროვნული ბანკის ლიცენზიით;
- სპეციალიზებული ლომბარდული ბიზნეს მოდელი (პორტფელის 78.7% ოქროთი უზრუნველყოფილი) — სტაბილური და დაბალრისკიანი;
- ფიზიკური ქსელის სიდიდით #2 ადგილი სექტორში — 50 ფილიალი 9 რეგიონში;
- 1,000,000-ზე მეტი რეგისტრირებული კლიენტი წლის ბოლოსთვის.

5. ფინანსური მიმოხილვა

ეს სექცია წარმოადგენს კომპანიის 2025 წლის ფინანსური შედეგების ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ანალიზს. სექციაში წარმოდგენილი ციფრები ეფუძნება ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აუდიტირებულია შპს "ნექსია ჯორჯიას" მიერ.

5.1. შემოსავლები და ხარჯები

| (ათასი ლარი) | 2025 | 2024 | ცვლილება |
|------------------------------|----------|----------|----------|
| სულ საპროცენტო შემოსავალი | 15,389 | 12,229 | +25.8% |
| სულ საპროცენტო ხარჯი | (5,937) | (4,582) | +29.6% |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 9,452 | 7,647 | +23.6% |
| არასაპროცენტო შემოსავალი | 16,025 | 15,484 | +3.5% |
| არასაპროცენტო ხარჯი | (17,585) | (17,443) | +0.8% |

საპროცენტო შემოსავლის 25.8%-იანი ზრდა პირდაპირ კავშირშია სასესხო პორტფელის გაფართოებასთან (32.4%-იანი ზრდა), ხოლო საპროცენტო ხარჯის ზრდა — ნასესხები საშუალებების მოცულობის ზრდით. წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა 23.6%-ით. არასაპროცენტო ხარჯების მხოლოდ 0.8%-იანი ზრდა მაშინ, როცა ბიზნესი მოცულობით $\approx 30\%$ -ით გაიზარდა, მიუთითებს ოპერაციული ეფექტიანობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე — განსაკუთრებით თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯში (+1.4%).

5.2. მომგებიანობა

| (ათასი ლარი) | 2025 | 2024 | ცვლილება |
|---------------------------|--------------|--------------|---------------|
| მოგება დაბეგვრამდე | 7,877 | 5,685 | +38.6% |
| მოგების გადასახადი | (1,463) | (1,349) | +8.5% |
| წლის წმინდა მოგება | 6,414 | 4,336 | +47.9% |

წმინდა მოგების 47.9%-იანი ზრდა (4,336 → 6,414 ათ. ლარი) ეფუძნება სამ ძირითად ფაქტორს: შემოსავლის ზრდას (საპროცენტო შემოსავალი +25.8% პორტფელის გაფართოებიდან), ხარჯების ეფექტიან მართვას (არასაპროცენტო ხარჯები +0.8% ბიზნეს ექსპანსიის ფონზე) და მცირე საკრედიტო ბარალს (გაუფასურების რეგერვის ცვლილება მხოლოდ 15 ათასი ლარის ხარჯად დაფიქსირდა).

5.3. ფულადი ნაკადების ანალიზი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2025 წლის ფინანსური მართვის სრულ სურათს ხატავს:

| (ათასი ლარი) | 2025 | 2024 |
|--------------------------------------------------|------------|----------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) | (7,696) | (4,063) |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული | (60) | (117) |
| საფინანსო საქმიანობიდან მიღებული | 6,340 | 3,159 |
| საკურსო ცვლილების ეფექტი | 1,885 | (58) |
| წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში | 469 | (1,021) |

საოპერაციო საქმიანობიდან 7,696 ათ. ლარის წმინდა გადინება ფასს-ის სტანდარტებით მოიცავს სასესხო პორტფელში ინვესტირებას (15,845 ათ. ლარის ზრდა) — შესაბამისად, ფაქტობრივი ოპერაციული მომგებიანობა (მიღებული პროცენტი 15,205 vs გადახდილი 5,922) ძლიერად პოზიტიურია. საფინანსო საქმიანობიდან მიღებული 6,340 ათ. ლარი ძირითადად მოიცავს კაპიტალში შენატანს (1,800), წმინდა ნასესხებ სახსრებს (10,674) და გადახდილ დივიდენდებს (-3,387).

5.4. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სულ აქტივები 76,712 ათასი ლარია (+29.6%). აქტივების სტრუქტურაში დომინანტი პოზიცია უჭირავს კლიენტებზე გაცემულ სესხებს (84.4%, 64,712 ათასი ლარი). ვალდებულებები 79%-ით ნასესხები საშუალებებით არის წარმოდგენილი (43,083 ათასი ლარი).

| (ათასი ლარი) | 31.12.2025 | 31.12.2024 |
|-----------------------------------------------|------------|------------|
| სულ აქტივები | 76,712 | 59,172 |
| მათ შორის: კლიენტებზე გაცემული სესხები (ნეტო) | 64,712 | 48,867 |
| ფულადი სახსრები და ეკვივალენტები | 5,984 | 5,515 |
| სულ ვალდებულებები | 54,568 | 41,918 |
| მათ შორის: ნასესხები საშუალებები | 43,083 | 32,421 |
| საიჯარო ვალდებულებები | 5,897 | 4,690 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 22,144 | 17,254 |

საკუთარი კაპიტალი გაიზარდა 17,254 ათ. ლარიდან 22,144 ათ. ლარამდე (+28.3%) — წმინდა მოგების (+6,414), D-ტიპის პრივილეგირებული აქციების ემისიის (+1,800) და გამოცხადებული დივიდენდების (-3,324) ერთობლივი ეფექტით. საკუთარი კაპიტალის წილი მთლიან აქტივებში 28.9%-ია (2024: 29.2%) — ჯანსაღ დონეზე.

6. საოპერაციო ანალიზი

საოპერაციო ანალიზის სექცია წარმოადგენს კომპანიის 2025 წლის საქმიანობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს — სასესხო პორტფელის სტრუქტურას, კლიენტთა ბაზას და სესხების ნაკადს.

6.1. კლიენტთა ბაზა

კომპანიის ფართო კლიენტთა ბაზა მისი ხანგრძლივი (26-წლიანი) საქმიანობის შედეგია — წლების განმავლობაში რეგისტრირებული კლიენტების მთლიანი რაოდენობა მილიონს აღემატება. ეს მაჩვენებელი კომპანიის ფართო სოციალურ წვდომას ასახავს — საქართველოს ზრდასრული პოპულაციის მნიშვნელოვან წილზე — და ბრენდის სანდოობას ადასტურებს.

6.2. სასესხო ოპერაციების მოცულობა

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სასესხო პორტფელი მოიცავდა 34,269 მოქმედ ხელშეკრულებას, რაც ფილიალების ქსელის (50 სერვის-ცენტრი) მაღალ პროდუქტიულობაზე მიუთითებს. პორტფელის ძირითად წილს ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები მოდის, ხოლო იურიდიული პირების სეგმენტი შედარებით მცირე, თუმცა მნიშვნელოვან ნიშას ქმნის.

სასესხო პორტფელის ისტორიული დინამიკა

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კომპანიის სასესხო პორტფელი მუდმივ აღმავალ ტრენდს ინარჩუნებს — 2021-დან 2025 წლამდე პორტფელის მთლიანი მოცულობა 30.6 მლნ ლარიდან 64.6 მლნ ლარამდე გაორმაგდა (კუმულატიური ზრდა 111%):

| პროდუქტი (მლნ ლარი) | 2021 | 2022 | 2023 | 2024 |
|---------------------------------|-------------|--------------------------------|-------------|-------------|
| სალომბარდე სესხები | 21.8 | 25.2 | 27.1 | 37.1 |
| ბიზნეს სესხები | 8.8 | 10.9 | 11.7 | 11.8 |
| მთლიანი სასესხო პორტფელი | 30.6 | 36.1 | 38.8 | 48.9 |
| პროდუქტი (მლნ ლარი) | 2025 | 2021→2025 ცვლილება | | |
| სალომბარდე სესხები | 50.7 | +132% (21.8 → 50.7 მლნ) | | |
| ბიზნეს სესხები | 13.9 | +58% (8.8 → 13.9 მლნ) | | |
| მთლიანი სასესხო პორტფელი | 64.6 | +111% (30.6 → 64.6 მლნ) | | |

საინტერესოა, რომ ზრდის ძირითადი დრაივერი იყო სალომბარდე სესხების სეგმენტი, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში 132%-ით გაიზარდა, ხოლო ბიზნეს სესხების სეგმენტი — 58%-ით. ეს ცხადყოფს კომპანიის სტრატეგიულ ფოკუსს უზრუნველყოფაზე დაფუძნებულ ბიზნეს მოდელზე და სალომბარდე პროდუქტის უპირატესობებზე — დაბალი რისკი, მაღალი მომგებიანობა და სწრაფი მომსახურება.

2024-დან 2025-მდე ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო: სალომბარდე პორტფელი გაიზარდა 37.1-დან 50.7 მლნ ლარამდე (+37%), ხოლო ბიზნეს პორტფელი — 11.8-დან 13.9 მლნ ლარამდე (+18%).

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების სტრუქტურა (2025)

| მაჩვენებელი | სულ | ქალები | კაცები |
|-------------------------------|------------|------------|------------|
| სესხების მთლიანი თანხა (ლარი) | 62,521,877 | 39,455,704 | 23,066,173 |
| წილი მთლიან მოცულობაში | 100% | 63.1% | 36.9% |
| პირების რაოდენობა | 23,477 | 14,422 | 9,055 |
| წილი პირთა რაოდენობაში | 100% | 61.4% | 38.6% |
| სესხების რაოდენობა | 34,025 | 21,714 | 12,311 |
| წილი სესხების რაოდენობაში | 100% | 63.8% | 36.2% |
| საშუალო სესხის ოდენობა (ლარი) | 1,837 | 1,817 | 1,873 |

საოპერაციო პროდუქტიულობა

| მაჩვენებელი | 2025 |
|---------------------------------------------|---------------------------|
| მოქმედი სასესხო ხელშეკრულებები (31.12.2025) | 34,269 |
| აქტიური ფილიალების რაოდენობა | 50 |
| საშუალო ხელშეკრულება ფილიალებზე | 685 |
| თანამშრომელთა რაოდენობა | 328 |
| საშუალო ხელშეკრულება თანამშრომელზე | 104 |
| სათავო ოფისი | თბილისი (პეკინის გ. #33ა) |

6.3. სასესხო პორტფელის ხარისხი

სასესხო პორტფელის ხარისხი 2025 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ფასს 9-ის შესაბამისი სამსტადიანი კლასიფიკაცია გვიჩვენებს, რომ პორტფელის თითქმის სრული მოცულობა (97.8%) ნორმალურ ეტაპშია, ხოლო გაუფასურებული სესხების წილი მინიმალურია (0.04%):

| სტადია | 31.12.2025 | წილი | 31.12.2024 | წილი |
|--------------------------------------|------------|--------|------------|--------|
| ეტაპი 1 (12-თვიანი ECL — ნორმალური) | 63,854 | 97.81% | 48,632 | 98.45% |
| ეტაპი 2 (სასიცოცხლო ECL — სიფრთხილე) | 1,407 | 2.15% | 534 | 1.08% |
| ეტაპი 3 (გაუფასურებული) | 23 | 0.04% | 232 | 0.47% |

| სტადია | 31.12.2025 | წილი | 31.12.2024 | წილი |
|------------|---------------|-------------|---------------|-------------|
| სულ | 65,284 | 100% | 49,398 | 100% |

ცვლილებების ანალიზი წინა წელთან შედარებით:

- ეტაპი 1 (ნორმალური) — გაიზარდა 48,632-დან 63,854-მდე (+31.3%), რაც პორტფელის გაფართოების შესაბამისად მოხდა;
- ეტაპი 2 (სიფრთხილე) — გაიზარდა 534-დან 1,407-მდე, რომელიც ძირითადად შედარებით მცირე ვადაგადაცილების სესხებს ეხება;
- ეტაპი 3 (გაუფასურებელი) — 232-დან 23-მდე შემცირდა (-90%), რაც პორტფელის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას ასახავს — გაუფასურებელი სესხების ძირითადი ნაწილი ჩამონერილია (წლის განმავლობაში 2,654 ათ. ლარი ჩამონერა) და ნაწილი ამოღებულია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) საერთო რეზერვი 572 ათასი ლარია, რაც პორტფელის მხოლოდ 0.88%-ს შეადგენს — გაცილებით დაბალია სექტორის საშუალო მაჩვენებელზე ($\approx 2.76\%$) და უზრუნველყოფაზე დაფუძნებული ბიზნეს მოდელის ფუნდამენტურ უპირატესობას ადასტურებს.

6.4. სესხების უზრუნველყოფის სტრუქტურა

კომპანიის ბიზნეს მოდელის ცენტრში არის უზრუნველყოფაზე დაფუძნებული მიდგომა. 2025 წლის ბოლოს სასესხო პორტფელის სტრუქტურა უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით შემდეგია:

| უზრუნველყოფის ტიპი | 2025 (ათ. ლარი) | წილი | 2024 |
|----------------------------|-----------------|-------------|---------------|
| ოქრო და ძვირფასეულობა | 51,356 | 78.7% | 37,623 |
| არაუზრუნველყოფილი/საბლანკო | 13,912 | 21.3% | 11,775 |
| მესამე პირის გარანტია | 2 | <0.1% | - |
| სხვა | 14 | <0.1% | - |
| სულ | 65,284 | 100% | 49,398 |

ოქროთი და ძვირფასეულობით უზრუნველყოფილი (ლომბარდული) სესხები პორტფელის 78.7%-ს შეადგენს, რაც კომპანიას ფუნდამენტურად სტაბილურ რისკის პროფილს უქმნის. გირავნობის ფარგლებში მიღებული ოქროს ღირებულება 56,360 ათასი ლარია, საიდანაც 54,191 ათასი ლარის ოქრო ბანკისთვის გადაცემულია მიბარების ხელშეკრულების საფუძველზე — ეს უზრუნველყოფს კომპანიის საბანკო ვალდებულებებს და დამატებითი დაფინანსების ხელმისაწვდომობას.

7. რისკების მართვა

კომპანიის რისკების მართვის სისტემა მოიცავს ფინანსური, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების სრულ სპექტრს. რისკების მართვის ძირითადი ფილოსოფიაა შეზღუდვების დადგენა, მუდმივი მონიტორინგი და დაბალანსება ბიზნეს ექსპანსიასთან.

7.1. რისკების მართვის ფარგლები

რისკების მართვის სამდონიანი მოდელი მოიცავს:

- პირველი ხაზი — საოპერაციო ერთეულები (საკრედიტო დეპარტამენტი, ფილიალები), რომლებიც ყოველდღიურად ახორციელებენ რისკის ფაქტორების იდენტიფიცირებასა და კონტროლს;
- მეორე ხაზი — რისკების მართვისა და შესაბამისობის ფუნქციები, რომლებიც აყალიბებენ პოლიტიკებს, ლიმიტებს და ახდენენ დამოუკიდებელ მონიტორინგს;
- მესამე ხაზი — შიდა აუდიტი, რომელიც ახორციელებს დამოუკიდებელ შეფასებას რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობაზე.

7.2. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვან რისკის ფაქტორს, რადგან ის უშუალოდ კავშირშია კომპანიის ძირითად საქმიანობასთან.

მაქსიმალური საკრედიტო რისკის ექსპოზიცია

| (ათასი ლარი) | 31.12.2025 | 31.12.2024 |
|-------------------------------------------|---------------|---------------|
| გაცემული სესხები | 65,284 | 48,867 |
| გირაოს რეალიზაციით წარმოშობილი დებიტორები | 106 | 73 |
| საბანკო ანგარიშებზე ფული | 1,480 | 1,330 |
| სულ ექსპოზიცია | 66,870 | 50,270 |

საკრედიტო რისკის შემცირების მექანიზმები

კომპანია იყენებს მრავალდონიან მიდგომას საკრედიტო რისკის შესამცირებლად:

უზრუნველყოფაზე დაფუძნებული მოდელი — სასესხო პორტფელის 78.7% ოქროთი და ძვირფასეულობით უზრუნველყოფილია, რაც სტრესის სცენარში მნიშვნელოვან დამცავ ბუფერს ქმნის. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გირავნობის ფარგლებში მიღებული ოქროს ღირებულება 56,360 ათასი ლარია — სალომბარდო სესხების მთლიან მოცულობასთან შესადარისად.

კონცენტრაციის შეზღუდვა — კომპანია ზღუდავს და აკონტროლებს ერთ მსესხებელზე გაცემული სალომბარდო სესხების მოცულობას; ერთ მსესხებელზე მნიშვნელოვანი კონცენტრაცია არ ფიქსირდება.

ფასს 9-ის შესაბამისი ECL მოდელი — კომპანიას დანერგილი აქვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების სრული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს:

- სამსტადიანი კლასიფიკაცია (Stage 1: 0-30 დღე ვადაგადაცილება ლომბარდულ სესხებზე; Stage 2: 31-90 დღე; Stage 3: 90+ დღე);
- დეფოლტის ალბათობის (PD) გაანგარიშება მიგრაციის მატრიცის მეთოდით;
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) — სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე;
- დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD) — მიმდინარე სასესხო ნაშთებიდან.

პორტფელის ხარისხი პროდუქტების მიხედვით

სასესხო პორტფელის სტრუქტურა პროდუქტების ჭრილში (31.12.2025):

| პროდუქტი | სულ (ათ. ლარი) | წილი | ECL % |
|--------------------------------------|----------------|-------------|--------------|
| სალომბარდე სესხები | 51,357 | 78.7% | 0.61% |
| ბიზნეს სესხები (ყოველთვიური გრაფიკი) | 263 | 0.4% | 2.28% |
| ბიზნეს სესხები (ყოველდღიური გრაფიკი) | 13,664 | 20.9% | 1.86% |
| სულ | 65,284 | 100% | 0.88% |

სალომბარდე სესხების უპირატესობა მკაფიოა — როგორც პორტფელის უდიდესი წილი (78.7%), ისე ყველაზე დაბალი საკრედიტო რისკის ექსპოზიცია (ECL — მხოლოდ 0.61%). ბიზნეს სესხები ცოტა მაღალ ECL-ს უჩვენებენ, თუმცა მათი წილი მცირეა, რის გამოც მთლიანი პორტფელის ECL 0.88%-ზე რჩება.

7.3. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი კომპანიის რისკის პროფილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მუდმივ აქტიურ მართვას მოითხოვს.

ვალდებულებების ვადიანობის სტრუქტურა (31.12.2025)

| ვადა | ნასესხები საშუალებები (ათ. ლარი) | წილი |
|-----------------|----------------------------------|-------|
| 3 თვემდე | 5,297 | 12.0% |
| 3-დან 6 თვემდე | 916 | 2.1% |
| 6-დან 12 თვემდე | 32,897 | 74.3% |

| ვადა | ნასესხები საშუალებები (ათ. ლარი) | წილი |
|----------------|----------------------------------|-------------|
| 1-დან 5 წლამდე | 5,167 | 11.7% |
| სულ | 44,277 | 100% |

ხელმძღვანელობის ანალიზი და მართვის მექანიზმები

ნომინალურად ვალდებულებების სტრუქტურაში 88.3% ერთ წელზე ნაკლები ვადიანობით არის წარმოდგენილი, რაც ფინანსური ანგარიშგების ფორმალურ წარდგენაში მოკლევადიან კონცენტრაციად აისახება. თუმცა ეს ფორმალური სურათი არ ასახავს ფაქტობრივ ლიკვიდურობის რისკს, რომელიც კომპანიის მენეჯმენტმა აქტიური მართვით უკვე მინიმუმამდე დაიყვანა.

მნიშვნელოვანი ფაქტი: 2025 წლის ბოლოს კომპანიის ხელმძღვანელობამ მომსახურე ბანკებთან მიაღწია შეთანხმებას ნასესხები სახსრების ვადების გაგრძელების შესახებ, რომელიც 2026 წლის დასაწყისში გაფორმდა. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ფორმალურ სტრუქტურაში მოკლევადიანად ასახული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ფაქტობრივად გრძელვადიანი დაფინანსების ხელშეკრულებებითაა უზრუნველყოფილი — ეს გარემოება ლიკვიდურობის რეალურ პროფილს ფუნდამენტურად განასხვავებს ფორმალური ცხრილისგან.

ლიკვიდურობის რისკის მართვის ძირითადი მექანიზმები:

- ბანკებთან გაგრძელებული რეფინანსირების ხელშეკრულებები — 2025 წლის ბოლოს შეთანხმებული და 2026 წლის დასაწყისში გაფორმებული, რომელიც მოკლევადიან ნოტიფიკაციებში ფიქსირებულ ნაშთებს ფაქტობრივად საშუალო- და გრძელვადიან ფარგლებში ანაცვლებს;
- ფულადი ნაკადების ყოველდღიური მონიტორინგი;
- ლიკვიდური აქტივების მინიმალური ნაშთის შენარჩუნება (5,984 ათ. ლარი 2025 წ. ბოლოს);
- სასესხო პორტფელის ბუნებრივი მოკლევადიანი ციკლი (ლომბარდული სესხები — ჩვეულებრივ 1-6 თვე) ბუნებრივ ლიკვიდურობას უზრუნველყოფს.

აქტივ-ვალდებულების ვადიანობრივი შესაბამისობა: კლიენტებზე გაცემული სესხების ძირითადი ნაწილი (ლომბარდული სესხები) მოკლევადიანი ხასიათისაა (ჩვეულებრივ 1-6 თვე), რაც ბუნებრივ შესაბამისობას უქმნის ნასესხები სახსრების ფაქტობრივ ვადიანობრივ სტრუქტურას. ფინანსირების ხელშეკრულებების გრძელვადიანი ხასიათისა და სასესხო პორტფელის თვითლიკვიდირებადი ბუნების კომბინაცია ლიკვიდურობის რეალურ რისკს კონტროლირებად ფარგლებში ინარჩუნებს.

7.4. სხვა რისკები

საბაზრო რისკი — კომპანიის სავალუტო რისკის ექსპოზიცია მინიმალურია, რადგან ნასესხები საშუალებები და სასესხო პორტფელი ძირითადად ლარში დენომინირებულია.

საპროცენტო რისკი წარმოიქმნება ცვალებადი განაკვეთიანი ვალდებულებების გამო (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთი + 2.3%); სასესხო პროდუქტების უმეტესობა ფიქსირებული განაკვეთით გაიცემა.

საოპერაციო რისკი — მოიცავს სისტემურ-ტექნოლოგიურ, ადამიანურ ფაქტორებთან დაკავშირებულ (თაღლითობა, შეცდომები), გარე (კიბერ-რისკები, ფიზიკური უსაფრთხოება) და პროცესების ხარვეზებიდან გამომდინარე რისკებს. ლომბარდული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკური უსაფრთხოების და უზრუნველყოფის (ოქრო, ძვირფასეულობა) შენახვის წესების დაცვას.

სამართლებრივი და შესაბამისობის რისკი — მოიცავს ცვლილებებს მიკროსაფინანსო სექტორის რეგულაციებში, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობაში და სასამართლო დავებს. დღევანდელი მდგომარეობით, კომპანიის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი სასამართლო დავა, რომელსაც მნიშვნელოვანი ფინანსური გავლენა შეიძლება ჰქონოდა, არ წარმოებს.

8. რეგულატორული შესაბამისობა და კაპიტალის მართვა

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით.

8.1. ძირითადი რეგულატორული მოთხოვნები

კომპანია სრულად აკმაყოფილებს რეგულატორული ნორმატივების ძირითად მოთხოვნებს:

- მინიმალური განაღდებული კაპიტალი (1,000 ათასი ლარი) — კომპანიის მაჩვენებელია 11,430 ათასი ლარი (11.4-ჯერ აჭარბებს);
- ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად — აუდიტირებულია შპს "ნექსია ჯორჯიას" მიერ;
- რისკების მართვის სისტემა, შიდა კონტროლის მექანიზმები, AML/CFT მოთხოვნები;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნები.

8.2. დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი

ეროვნულმა ბანკმა კომპანიას 2026 წლის 31 დეკემბრამდე გაუგრძელა ვადა დაგირავებული აქტივების კოეფიციენტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (აღნიშნულია ანგარიშის მე-2 ნაწილში, "წლის მთავარი მოვლენები"). კომპანია აქტიურად მუშაობს სამოქმედო გეგმის ფარგლებში მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად.

სხვა რეგულატორულ მოთხოვნებთან მიმართებაში კომპანია არის სრულ შესაბამისობაში.

9. მმართველობის სტრუქტურა

კომპანიის მმართველობითი სტრუქტურა შედგება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსგან. სტრუქტურა ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალე და ეფექტიან პროცესს.

9.1. სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს კომპანიის სტრატეგიულ ზედამხედველობას, ამტკიცებს ძირითად პოლიტიკებსა და კონტროლს უწევს მენეჯმენტის საქმიანობას. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა 2025 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| გვარი, სახელი | თანამდებობა |
|---------------------|-------------|
| კანდელაკი ნაზიკო | თავმჯდომარე |
| კანდელაკი თამარი | წევრი |
| ხიზანიშვილი ქეთევან | წევრი |

9.2. დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო ხელმძღვანელობს კომპანიის ყოველდღიურ ოპერაციულ საქმიანობას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი სტრატეგიული ჩარჩოს ფარგლებში. 2025 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით აღმასრულებელი ხელმძღვანელობის შემადგენლობაა:

| გვარი, სახელი | თანამდებობა |
|--------------------|------------------------|
| კანდელაკი გურამ | გენერალური დირექტორი |
| აროშიძე აკაკი | ფინანსური დირექტორი |
| მამადაშვილი გიორგი | უსაფრთხოების დირექტორი |

დირექტორთა საბჭოს წევრებს გააჩნიათ მრავალწლიანი ხელმძღვანელები გამოცდილება მიკროსაფინანსო და ფინანსურ სექტორში, რაც კომპანიის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ხარისხს უზრუნველყოფს. ფინანსური დირექტორი პასუხისმგებელია ფინანსების მართვაზე, რისკების მონიტორინგსა და მარეგულირებელ ანგარიშგებაზე, ხოლო უსაფრთხოების დირექტორი — ფიზიკურ უსაფრთხოებაზე (ფილიალების ქსელი, ოქროს უზრუნველყოფის შენახვა) და საინფორმაციო უსაფრთხოებაზე.

9.3. გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურა

კომპანიის სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ხოლო ოპერაციული — დირექტორთა საბჭოს დონეზე. სამეთვალყურეო საბჭოს განსაკუთრებულ კომპეტენციას წარმოადგენს: წლიური ბიუჯეტისა და სტრატეგიის

დამტკიცება, რისკის აპეტიტის განსაზღვრა, აუდიტორის შერჩევა, კაპიტალის სტრუქტურის ცვლილებები და მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწყვეტილებები.

10. აქციონერთა სტრუქტურა და კაპიტალი

10.1. აქციონერთა სტრუქტურა

კომპანია 2019 წელს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ჩვეულებრივი (ხმის უფლების მქონე) აქციების მაკონტროლებელი მფლობელების სტრუქტურა შემდეგია:

| გვარი, სახელი | 31.12.2025 | 31.12.2024 |
|---------------------|-------------|-------------|
| კანდელაკი გურამი | 32.68% | 32.68% |
| სიღამონიძე ქეთევანი | 26.19% | 26.19% |
| კანდელაკი თამარი | 16.96% | 16.96% |
| კანდელაკი ნაზიკო | 7.98% | 7.98% |
| მამადაშვილი გიორგი | 4.99% | 4.99% |
| ხიზანიშვილი ქეთევან | 4.37% | 4.37% |
| ხიზანიშვილი ეკა | 4.37% | 4.37% |
| სხვა აქციონერები | 7.46% | 7.46% |
| სულ | 100% | 100% |

ჩვეულებრივი აქციების მფლობელობის სტრუქტურა წინა წელთან შედარებით უცვლელია. მაკონტროლებელი ჯგუფი (კანდელაკის ოჯახი) ფლობს ჩვეულებრივი აქციების $\approx 62.6\%$ -ს. კომპანიას არ ჰყავს დედა კომპანია, ყველა აქციონერი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი.

10.2. 2025 წლის კაპიტალის ცვლილებები და დივიდენდები

წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები კაპიტალის სტრუქტურაში: პრივილეგირებული აქციების ემისია 1,800 ათასი ლარის ოდენობით (900 ნომინალი + 900 საემისიო პრემია), წმინდა მოგების კაპიტალიზაცია 6,414 ათასი ლარის ოდენობით და აქციებზე გამოცხადებული დივიდენდები 3,324 ათასი ლარი (გადახდილი 3,387 ათასი ლარი).

10.3. კაპიტალის ადეკვატურობა

კომპანია სრულად აკმაყოფილებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მინიმალური 1,000,000 ლარის განაღდებული კაპიტალის მოთხოვნას — 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის განთავსებული კაპიტალი 11,430 ათასი ლარია (რეგულატორულ მინიმუმს 11.4-ჯერ აღემატება). საკუთარი კაპიტალის წილი მთლიან აქტივებში 28.9%-ია, რაც სექტორის სტანდარტებთან შედარებით ჯანსაღ კაპიტალიზაციაზე მიუთითებს.

11. ESG და გავლენა

კომპანიის სოციალური და ეკონომიკური გავლენა ბევრად აღემატება უშუალო ფინანსურ მაჩვენებლებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის როლი თანამედროვე ფინანსურ ეკოსისტემაში უპირველესად ფინანსური ჩართულობის გაფართოებაშია — იმ პოპულაციური ჯგუფების მომსახურებაში, რომლებსაც ტრადიციული საბანკო სექტორი ფარდობით ნაკლებად ემსახურება.

11.1. ფინანსური ჩართულობა

კომპანიის ფართო კლიენტთა ბაზა — წლების განმავლობაში დაგროვილი მილიონზე მეტი რეგისტრირებული კლიენტი — გვიჩვენებს კომპანიის ფართო სოციალურ წვდომას საქართველოს ზრდასრული პოპულაციის მნიშვნელოვან წილზე.

კომპანიის ბიზნეს მოდელი — უზრუნველყოფაზე დაფუძნებული მცირე და საშუალო სესხები — ფუნდამენტურად აფართოებს ფინანსურ ხელმისაწვდომობას იმ ფიზიკური პირებისთვის, რომლებსაც ტრადიციული საბანკო კრედიტი ნაკლებად ხელმისაწვდომია (საკრედიტო ისტორიის არარსებობის, ფორმალური დასაქმების სტატუსის ან სხვა მიზეზების გამო). საშუალო სესხის ოდენობა — 1,837 ლარი — ამ პოზიციონირებას ადასტურებს.

ფინანსური ჩართულობის გაფართოებას ემსახურება ასევე არასასესხო პროდუქტების ფართო სპექტრი (გადახდები, გზავნილები, სავალუტო ოპერაციები, სადაზღვევო და საგადახდო აგენტური მომსახურება), რომელიც კომპანიის ფილიალებს ფინანსური მომსახურების ერთიან კარიბჭედ აქცევს — განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც სხვა ფინანსური ინსტიტუტების ფიზიკური ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

11.2. გენდერული ბალანსი ფინანსურ მომსახურებაში

კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ESG მაჩვენებელია სესხების გენდერული გადანაწილება. 2025 წელს ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების სტატისტიკა შემდეგია:

| მაჩვენებელი | ქალები | კაცები | ქალთა წილი |
|----------------------------|------------|------------|------------|
| სესხების მთლ. თანხა (ლარი) | 39,455,704 | 23,066,173 | 63.1% |
| პირების რაოდენობა | 14,422 | 9,055 | 61.4% |
| სესხების რაოდენობა | 21,714 | 12,311 | 63.8% |

ქალები წარმოადგენენ კომპანიის სასესხო ბაზის უმრავლესობას — როგორც პირთა რაოდენობით (61.4%), ასევე სესხების მოცულობით (63.1%). ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს ფინანსური სექტორის საშუალო მაჩვენებლებს და ხაზს უსვამს კომპანიის როლს ქალთა ეკონომიკური აქტივობის და მენარმეობის ხელშეწყობაში — განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც ქალთა ფინანსური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა მნიშვნელოვან განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს.

11.3. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, დასაქმება და მართვა

კომპანიის 50 ფილიალის ქსელი 9 რეგიონში ფინანსურ მომსახურებას მიაწვდის რეგიონული ცენტრების მცხოვრებლებსაც — ფილიალების 73% თბილისის გარეთაა განთავსებული. 8 ფილიალი მუშაობს 24/7 რეჟიმში, რაც უწყვეტ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. კომპანიაში დასაქმებულია 328 თანამშრომელი, რაც კომპანიას მნიშვნელოვან ადგილობრივ დამქირავებლად აქცევს.

კორპორაციული მართვის თვალსაზრისით, კომპანია საქმიანობას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებლად აუდიტირდება შპს "ნექსია ჯორჯიას" მიერ. საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, რაც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტებს უზრუნველყოფს.

12. სტრატეგიული პერსპექტივა

კომპანია ოპერირებს მზარდ კონკურენტულ გარემოში, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაფინანსების ღირებულების ოპტიმიზაციას, პორტფელის ხარისხის შენარჩუნებას, ოპერაციული ეფექტიანობის ზრდასა და კაპიტალის ბაზარზე წვდომის გაფართოებას.

12.1. 2026 წლის ფინანსური მიზნები

2026 წლის ბიუჯეტის ფარგლებში კომპანია მიზნად ისახავს მზარდი დინამიკის შენარჩუნებას ძირითადი ინდიკატორების მიხედვით:

| მაჩვენებელი | 2025 (ფაქტი) | 2026 (გეგმა) |
|-------------------------|--------------|--------------|
| სასესხო პორტფელის ზრდა | +32.4% | ≈+18% |
| სულ აქტივები (მლნ ლარი) | 76.7 | ≈80 |
| აქტივების უკუგება (ROA) | 9.4% | ≈9.5% |
| კაპიტალის უკუგება (ROE) | 32.5% | ≈30% |

12.2. ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები

კომპანიის 2026 წლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს ხუთ ძირითად მიმართულებას:

- ოპერაციული სისტემატიზაცია — პროცედურების სტანდარტიზაცია, პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილება და მენეჯმენტის ფუნქციების გაძლიერება;
- ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია — რეპორტიინგის შიდა პლატფორმაზე გადასვლა, მონაცემთა უსაფრთხოების სისტემების და შიდა კონტროლის ციფრული ინსტრუმენტების გაძლიერება;
- ფინანსური მდგრადობის გაძლიერება — პორტფელის და დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია, კაპიტალის ბაზარზე ეტაპობრივი გასვლა და დაფინანსების საშუალო ღირებულების შემცირება;
- ადამიანური კაპიტალის განვითარება — ტრენინგებისა და შეფასების სტანდარტიზაცია, 360° შეფასების მოდელის დანერგვა, მოტივაციის სისტემის სრულყოფა;
- კორპორაციული მმართველობის განვითარება — სამეთვალყურეო საბჭოს პროცესების სტანდარტიზაცია, ბიუჯეტირების სრულყოფა, რისკების მართვის ჩარჩოს გაძლიერება და ინვესტორებთან კომუნიკაციის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

12.3. კაპიტალის ბაზარზე გასვლის გეგმა


სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებზე წვდომის გაფართოება. კომპანია გეგმავს ობლიგაციების

12.3. კაპიტალის ბაზარზე გასვლის გეგმა

სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებზე წვდომის გაფართოება. კომპანია გეგმავს ობლიგაციების გამოშვებისთვის მზადებას, საინვესტიციო ისტორიის ჩამოყალიბებას და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის დაწყებას. ეს ხელს შეუწყობს დაფინანსების სტრუქტურის სტაბილურობას, კომპანიის რეპუტაციული კაპიტალის ზრდას და გრძელვადიანი ზრდის შესაძლებლობების გაძლიერებას.

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 13 მაისს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი :



გ.კანდელაკი